ჭეშმარიტად, მორწმუნეს შეუძლია თავისი კარგი ზნეობით მარხულისა და(მთელი ღამით) მლოცველის საფეხურს მიაღწიოს

გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) ამბობდა: «ჭეშმარიტად, მორწმუნეს შეუძლია თავისი კარგი ზნეობით მარხულისა და(მთელი ღამით) მლოცველის საფეხურს მიაღწიოს».

[სანდო მისი მოწმეებით] [გადმოსცა აბუ დაუდმა და აჰმადმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ კარგი ზნეობა ადამიანს მიაღწევინებს იმ საფეხურს, რასაც სისტემატიურად დღისით მარხვის და ღამით ლოცვის შემსრულებელი ადამიანი. კეთილზნეობა მოიცავს: სიკეთის კეთებას, თავაზიან ურთიერთობას, კეთილგანწყობილ გამომეტყველებას, ზიანის არ მიყენებას და შეურაცხყოფის მიმართ მოთმინებას.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5799

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee